

მუსიკა, როგორც თერაპია სწავლის უნარის დაქვეითების მქონე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის

მუსიკალური აქტივობები

რესურსების კრებული სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვებთან
მომუშავე მუსიკის პრაქტიკოსებისთვის



რესურსები შედგენილია:



music as therapy
international
Registered Charity No. 107660

მუსიკა, როგორც საერთაშორისო თერაპია (Reg. ქველმოქმედების N.1070760)

მუსიკა, როგორც თერაპია არის მუსიკისა და ბგერის გამოყენება სტრუქტურირებულ გარემოში, პიროვნების გონებრივი, ფიზიკური და ემოციური ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით.

აღნიშნულის მიზანი არ არის მუსიკალური განათლების მიღება, ბავშვები და მოზარდები კი ითვისებენ მუსიკის ძირითად უნარებს, როგორცაა მაგალითად გარკვეულ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, მაგრამ ეს არ არის აღნიშნული სამუშაოს მიზანი. მუსიკალური თერაპიის გამოყენებისას, მუსიკა ბავშვთან ან მოზარდთან კონტაქტის დასამყარებლად გამოიყენება და მიუხედავად იმისა თუ რა სირთულის ბავშვთან გვაქვს საქმე, მასთან ურთიერთობისთვის უსაფრთხო, დაცული გარემოს შესაქმნელად. მაგალითად, მუსიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩაკეტილ ან უკონტაქტო ბავშვებთან, რათა ჩავრთოთ ისინი ერთობლივ მუსიკალურ აქტივობაში. ის აგრეთვე შეგვიძლიათ გამოვიყენოთ ძალიან აქტიური პიროვნებების ენერჯიების პოზიტიურად და კონსტრუქციულად მართვისთვის. ჯგუფური მუშაობით შეგვიძლიათ ისეთი სოციალური უნარები და პრაქტიკა განავითაროთ, როგორცაა ცნობიერების ამაღლება და ჯგუფის წევრების შორის შეფასების, მოსმენის, რიგითობის და ლიდერობის უნარები.

მადლობა

ამ რესურსების კრებულში არსებული მუსიკალური აქტივობები წლების განმავლობაში შეგროვდა და აღებულია პირდაპირ *მუსიკა, როგორც საერთაშორისო თერაპიიდან*. ჩვენ განსაკუთრებით მადლობელი ვართ *მუსიკა, როგორც საერთაშორისო თერაპიის* საკონსულტაციო საბჭოსი და ემა პენკეთის Emma Penketh. აგრეთვე მადლობელი ვართ ჯენი ლაასის Jenny Laahs და იზაბელ ბედფორდის Isabel Bedford, რომლებმაც თავიანთი რედაქტორული წვლილი შესძინეს ამ საქმეს, იმისათვის, რომ საქართველოში მომუშავე პრაქტიკოსებისთვის მოერგოთ აღნიშნული რესურსების კრებული.

მიუხედავად იმისა, რომ აქტივობები აგვიღწერეს თავიანთი სიტყვებით და სწავლის უნარის დაქვეითების მქონე უმცროსი სკოლის ასაკის ბავშვებთან მუშაობის თავიანთი ინდივიდუალური მიდგომები გაგვაცნეს, ისინი უდავოდ მადლიერი არიან Amelia Oldfield & John Bean (Oldfield & Bean, 1991, 2001) და Elaine Streeter (Streeter 1979, 1980, 2002). მადლობელი ვართ, რომ მათ სიამოვნებით დაგვრთეს ნება, გამოგვეყენებინა მათ მიერ შემუშავებული აქტივობები, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე მუსიკალური თერაპიის პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს.

Oldfield, A. & Bean, J. (1991) *Pied Piper: Musical Activities to Develop Basic Skills*, Oxford University Press.

Oldfield, A. & Bean, J. (2001) *Pied Piper: Musical Activities to Develop Basic Skills*, Jessica Kingsley Publications. London.

Streeter, E. (1979) 'A Theoretical Background to the Interpretation of Rhythmic Skills, with Particular Reference to the Use of Music Therapy as an Aid to the Clinical Assessment of Pre-School Children.' MA Thesis University of York

Streeter, E. (1980) *Making Music with the Young Child with Special Needs a Guide for Parents*, Music Therapy Publications. London.
Streeter, E. (2002) *Making Music with the Young Child with Special Needs a Guide for Parents*, Jessica Kingsley Publications. London.

ჩვენ აგრეთვე მადლიერი ვართ სარა ჰედლის Sarah Hadley და ყველასი, ვინც თავისი წვლილი შეიტანა მუსიკალური რესურსების კრებულზე მუშაობისას, რომელიც შეიქმნა 5 წლამდე ასაკის ბავშვებთან მუსიკით მუშაობის ინტერაქტიული კურსისთვის.

Hadley, S. and Quin, A. (2010) *Interactive Music-Making: Musical Activities for the Under 5's* London: Greenwich

Music as Therapy International *Programul de învățare la distanță: Terapie prin muzica pentru copii cu dificultăți de învățare* London

© 2018 *Music as Therapy International*

First edition published 2011

Second edition published 2018

Third edition published 2019

All rights reserved. No part of this Resource may be reproduced or transmitted in any form or by any means, including photocopy, without permission in writing from *Music as Therapy International*.

Music as Therapy International (Reg. Charity No. 1070760), The Co-op Centre, 11 Mowll Street, London, SW9 0DA.

www.musicastherapy.org

სარჩევი

შესავალი	4
სესიის დაწყება და დამთავრება	5
აქტივობების იდეები	5
კომუნიკაცია მუსიკის მეშვეობით	6
რიგითობის აქტივობები	7
აქტივობების შერჩევა	10
ინსტრუმენტების გადაცემა და ბგერები	12
ლიდერობის თამაშები	13
იმოდრავეთ!	17
ცნობილი სიმღერები	19
იმპროვიზაცია	21
ჯგუფის თანამშრომლობა	24
შენიშვნები და იდეები	27

შესავალი

ეს მუსიკალური აქტივობები შეიქმნა მუსიკის პრაქტიკოსებისთვის, რომლებიც მუშაობენ სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვებთან. გამოიყენება მოქნილად, სტრუქტურირებული მუსიკალური სესიის ფარგლებში. ეს არის აქტივობები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის უნარის დაქვეითების მქონე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებთან მათი ძლიერი მხარეების წამოსაწევად და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

არ არის აუცილებელი სულ თავიდან დაიწყოთ და განახორციელოთ აქ მოცემული ყველა აქტივობა. არც თქვენთვის არის აუცილებელი ზუსტად ისე გააკეთოთ აქტივობა, როგორც აღწერილია. კარგად მოიფიქრეთ თუ რა მიზანი უნდა დაისახოთ თითოეულ ბავშვთან და შეარჩიეთ აქტივობები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ამ მიზნებზე. ასევე მოიფიქრეთ თუ როგორ მიმართავთ თითოეულ ბავშვს. და ბოლოს, არაფერი არ აგულიანებს ბავშვს ისე, როგორც თამაში და გართობა!

თუ აქტივობა პირველ ჯერზე არ გამოვიდა, არ დანებდეთ. ბავშვებს, რომლებთანაც მუშაობთ, შეიძლება დასჭირდეთ დრო, რომ შეეგუონ ახალ აქტივობას და რამდენიმე კვირის განმავლობაში ბევრჯერ განმეორება ფრიად სასიკეთო იქნება მათთვის. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ მთავარი იდეაა შესაცვლელი - შესაძლოა ბავშვს (ან ბავშვებს) სჭირდება ინსტრუმენტების მცირე არჩევანი, ან რომ თამაშის დროს ჰქონდეთ გადაადგილების საშუალება. თვით ბავშვებისგან ისწავლეთ რა უნდა გააკეთოთ, თამამად სცადეთ ახალი რაღაცეები და იყავით კრეატიულები.

ეს რესურსების კრებული არ არის საბოლოო. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ შექმნით საკუთარ აქტივობებს და რომ თვით ბავშვები მოგაწოდებენ თავიანთ იდეებს, რომელთა ჩართვაც შეგიძლიათ თქვენს სესიებში. თუ ორჭოფობთ, ყოველთვის შეგიძლიათ მოარგოთ თქვენი დაგეგმილი სესია თქვენს მიზნებს, როგორც ცალკე ბავშვთან მუშაობისას, ასევე მთლიანად ჯგუფებში: დაფიქრდით, შეესაბამება თუ არა თქვენი არჩეული აქტივობა ამ მიზნებს, ან იქნებ უნდა მოიფიქროთ ახალი აქტივობა, რომელიც უფრო ეფექტურად იმუშავებს?

გისურვებთ წარმატებებს!

სესიის დაწყება და დამთავრება

კარგი იქნება, რომ თითოეული სესია, ცალკეულ ბავშვებთან თუ ჯგუფებთან, დაიწყოთ "გამარჯობა" სიმღერით ან თემით, ხოლო დაასრულოთ "ნახვამდის" სიმღერით ან თემით. ყოველ კვირას ეს უნდა იყოს ერთი და იგივე თემა, რაც დაეხმარება ბავშვს გაერკვიოს როდის იწყება სესია და როდის მთავრდება.

“გამარჯობა”/“ნახვამდის“ არ უნდა იყოს რთული კომპოზიცია. ეს შეიძლება მარტივი მელოდია იყოს, რომელსაც უმღერებთ ან ერთ კონკრეტულ ბავშვს (ინდივიდუალურ სესიებზე) ან თითოეულ ბავშვს (ჯგუფურ სესიებზე). გამოიყენეთ აწყობილი (მელოდიური) ინსტრუმენტი, როგორცაა ქსილოფონი ან მეტალოფონი. ან უბრალოდ შეგიძლიათ დაირაზე ან დოლზე დაუკრათ რამე რითმული და ბავშვს უმღეროთ „გამარჯობა“ ან „ნახვამდის“.

როდესაც თქვენ უმღერით ბავშვს "გამარჯობას" ან „ნახვამდის“, კარგი იქნება თუ დაუკრავთ და იმღერებთ ბავშვის ხასიათიდან გამომდინარე, მაგალითად, სწრაფად ან ნელა, ხმამაღლა ან მშვიდად. ეს მათ აგრძნობინებს, რომ თქვენ მათ უსმენთ და უტოვებს მათ შთაბეჭდილებას/განწყობას, რომ მათ აზრს ითვალისწინებენ და მათ ექცევიან, როგორც პიროვნებებს. ეს განავითარებს მათში თავდაჯერებულობისა და აზრის გამოხატვის უნარს, აგრეთვე აძლევს მათ მოტივაციას ჩაერთონ სესიებში. ასევე, თითოეული მონაწილის სახელით მიმართვა, დაგეხმარებათ მათი ყურადღების შენარჩუნებაში.

რჩევა: შეეცადეთ ჯგუფის თითოეულ წევრთან დაამყაროთ კონტაქტი, არ აჩქარდეთ რიგითობის დაცვისას, მშვიდად გადადით ერთი ბავშვიდან მეორეზე.

აქტივობების იდეები

მიზნები:

- თითოეული სესიის დასაწყისი და დასასრული მკვეთრად განსაზღვრეთ
- ჯგუფის ინფორმირებულობა
- მოსმენის და დალოდების ხელშეწყობა

მისალმების სიმღერა (გამოიყენება ჯგუფური მუშაობისას):

როცა თითოეული პიროვნება რითმის მიხედვით ურტყამს ტაშს, სესიის წამყვანი მიჰყვება წრეს და მღერის: "გამარჯობა, გამარჯობა, ძვირფასო, როგორ ხარ?" თითოეული ბავშვი ელოდება პასუხის გაცემის რიგს და როდესაც მისი რიგი მოდის, გადადის შემდეგზე, იმეორებს ჯგუფის თითოეული წევრის მოქმედებას.

ქსილოფონის გამოყენება: თითოეულ პიროვნებას აძლევენ ჩაქუჩს და აკრევიანებენ რომელიმე ნოტას, თან მღერიხართ „გამარჯობა“ და „ნახვამდის“ სიმღერას.

მისაღმება დაირათი: ჯგუფი ჯდება წრეში ერთი დაირათი. თითოეულ ბავშვთან წაიძღვრეთ „გამარჯობა“ და გადაეცით დაირა მისაღმებისას. ისევ დაიწყეთ სიმღერა და ისევ გადაეცით დაირა ამჯერად სხვა ბავშვს. ახლა უკვე ყველა ბავშვმა იცის ჯგუფში, რომ სიმღერის დროა და უნდა დაუკრან ინდივიდუალურად.

ოკეანის დოლის გამოყენება: შემოუარეთ ჯგუფს, თითოეულ წევრს მიეცით საშუალება რიგრიგობით დაუკრას მუსიკალური ინსტრუმენტი. დააკვირდით როგორ მიუსადაგებს ბავშვი თქვენს ბგერებს - სიმღერის გამოყენებით თუ მხოლოდ მელოდიის წამღერებით სიტყვების გარეშე. იმის საჩვენებლად, რომ შემდეგი ბავშვის რიგი მოდის, მადლობა გადაუხადეთ ბავშვს, სანამ ინსტრუმენტს გადასცემთ ჯგუფის შემდეგ წევრს.

კომუნიკაცია მუსიკის მეშვეობით

ზოგიერთ ბავშვს, რომელთანაც ჩვენ ვმუშაობთ, უჭირს გააზრებულად ლაპარაკი, ზოგს გაგების პრობლემა აქვს. ზოგიერთი ლაპარაკობს შეუწყვეტლად! ყველა ასეთი ბავშვისთვის, მუსიკალური ინსტრუმენტების მეშვეობით არავერბალური კომუნიკაციის გამოვლენის აქტივობები, აძლევს მათ შესაძლებლობას განავითარონ ის უნარები, რომელსაც ჩვენ ყველა ვიყენებთ სხვა ადამიანებთან კონტაქტისას და ურთიერთობების დამყარებისას. ამ პროცესის წარმატებულად განხორციელებამ შესაძლოა ბავშვის თავდაჯერებულობა და თვითშეფასება აამაღლოს.

მიზნები:

- სხვების მოსმენა დაკვირვისას
- სხვების ინფორმირება
- ჯგუფის სხვა წევრებთან ინდივიდუალური ინტერაქცია
- თვალის კონტაქტის გაზრდა
- კონცენტრაცია
- სოციალური უნარები: რიგითობა, იმიტაცია, გაზიარება (ერთი და იმავე ინსტრუმენტის გამოყენება)
- ჯგუფის ერთმანეთთან თანამშრომლობის წახალისება

დიდი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად: დოლი, ქსილოფონი): ჯგუფის ორი წევრი - ან ერთი ბავშვი და სესიის ხელმძღვანელი - იზიარებენ ერთ ინსტრუმენტს და აწარმოებენ მუსიკალურ "საუბარს". რიგრიგობით უკრავენ და ყურადღებით უსმენენ რას „ამბობს“ ამხანაგი.

შეხედეთ და დაუკარი: ჯგუფის თითოეული წევრი ირჩევს ინსტრუმენტს. შეხედვით და თვალის კონტაქტით სესიის ხელმძღვანელი თავის მხრივ რიგრიგობით იწვევს ჯგუფის თითოეულ წევრს "სასაუბროდ". როდესაც სესიის ხელმძღვანელი უყურებს ჯგუფის სხვა წევრს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ჯერი მოვიდა. ეს გრძელდება მანამ, სანამ ყველა არ იურთიერთებს „ხელმძღვანელთან“.

რჩევა: როდესაც უფრო ქმედუნარიან ბავშვებთან მუშაობთ, შეგიძლიათ რომელიმე

<p>ბავშვი ხელმძღვანელად აირჩიოთ, რომელიც ჯგუფის სხვა წევრებთან დაიწყებს და შეწყვეტს მუსიკალურ საუბრებს.</p>
<p>საუბრები ბონგოსთან: ჯგუფი ჯდება წრიულად. ხელმძღვანელი უკრავს ბონგოზე და მისგან მარჯვნივ მყოფ ბავშვს იწვევს დასაკრავად. როცა წყვილი დაასრულებს დაკვრას ბონგო გადაეცემა მარჯვნივ მყოფ ბავშვს და ამჯერად ახალი წყვილი იწყებს დაკვრას. გააგრძელეთ მანამ, სანამ ყველა ბავშვი არ დაუკრავს ბონგოზე.</p>
<p>საუბრები ქსილოფონთან: ამოირჩევა ჯგუფის ორი წევრი, რომ დაუკრან ქსილოფონზე და წარმართონ დიალოგი, საუბრის სახით. სტრუქტურა შეგიძლიათ დაამატოთ, წინასწარ განსაზღვრეთ რა სახის საუბარი იქნება (მაგალითად არგუმენტი, ან აზრების აღტაცებული გაცვლა)</p>
<p>სარკირება ანუ განმეორება: ჯგუფის ორი წევრი - ან ბავშვი და სესიის ხელმძღვანელი-ჯდებათ ერთმანეთის პირდაპირ, უკრავენ ქსილოფონზე ერთდროულად. ერთ-ერთი წევრი უკრავს სურვილისამებრ, მეორე მას ბაძავს, შემდეგ ცვლიან როლებს.</p>
<p>შეაწყვეტინეთ!: თხოვეთ ჯგუფის თითოეულ წევრს აირჩიოს ერთი ინსტრუმენტი თქვენს მიერ არჩეული ინსტრუმენტებიდან. ერთი უნდა იყოს მოხალისე (ან არჩეული), რომ დაიწყოს აქტივობა. ეს ბავშვი მარტო უკრავს მანამ, სანამ მარჯვნივ მყოფი ადამიანი არ შეაწყვეტინებს დაკვრას.</p> <p>როგორც კი პირველ დამკვრელს შეაწყვეტინებენ დაკვრას, მან უნდა შეწყვიტოს დაკვრა და სხვას მისცეს დაკვრის საშუალება. ეს დამკვრელი აგრძელებს დაკვრას მანამ, სანამ მარჯვნივ მყოფი ადამიანი არ შეაწყვეტინებს მას და ა.შ.</p> <p><i>არ დაგავიწყდეთ: ხელმძღვანელს შეუძლია წახალისოს ჯგუფი და თითოეულ დამკვრელს უფრო მეტი დრო მისცეს დასაკვრელად.</i></p> <p><i>განვითარება:</i> ჯგუფის წევრებს შეუძლიათ არეულად შეაწყვეტინონ ერთმანეთს დაკვრა, იმის მაგივრად რომ რიგრიგობით დაუკრან წრეში. ეს შეიძლება გაკეთდეს ციმბალის განთავსებით წრის შუაგულში, სადაც ჯგუფის წევრები უკრავენ და მერე შეაწყვეტინებენ ერთმანეთს ჩაქუჩით ან ხელებით.</p>

რიგობითობის აქტივობები

ამ რესურსების კრებულში მოცემულმა ბევრმა აქტივობამ უნდა ასწავლოს ბავშვებს რიგობითობის დაცვა. თუმცა, ეს ნაწილი ემდგნება სტრუქტურირებულ, მოკლე აქტივობებს, რაც სესიის ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს ყურადღება გაამახვილოს ჯგუფის ერთ წევრზე ერთდროულად.

1) მიესალმეთ გონვს

მიზნები:

- რიგობითობის პრაქტიკა
- თვალის კონტაქტის და კოორდინაციის განვითარება
- აქტიური ქმედება

ჯგუფი ზის წრიულად და თითოეულ ბავშვს უჭირავს ჩაქუჩი.

სესიის ხელმძღვანელს უჭირავს გონგი (ან სხვა ძლიერი ჟღერადობის ინსტრუმენტი) და მიდის თითოეულ ბავშვთან, რომ მან დაარტყას ინსტრუმენტს. სესიის ხელმძღვანელი გადადის ბავშვიდან ბავშვზე წრიულ სივრცეში.

როდესაც თქვენ ხელმძღვანელობთ ამ აქტივობას, იყავით კრეატიულები მოძრაობისას. მაგალითად: მოტრიალდით, დაიჭირეთ გონგი სხვადასხვანაირად, დაკვრის პროცესი გახადეთ უფრო მხიარული და სახალისო ბავშვებისთვის. გონგის ხმა ისმოდეს ხმამაღლა, რომ ბავშვებმა გაიგონონ მისი ხმა.

2) მფრინავი ციმბალი!

მიზნები:

- რიგითობის პრაქტიკა
- მოტორული უნარების და კოორდინაციის პრაქტიკა
- კონცენტრაციის განვითარება

თქვენ დაგჭირდებათ თასებით დამაგრებული ციმბალი და იმდენი ჩაქუჩი რამდენი ბავშვიც არის. ბავშვები ერთმანეთისგან დაახლოებით 2 მეტრის მანძილზე იქნებიან დაშორებული და ხელში ეჭირებათ ჩაქუჩი. ხელმძღვანელი მოძრაობს ბავშვების გარშემო, რის შედეგადაც ციმბალები "დაფრინავს", როგორც მფრინავი თევზი. როდესაც თევზი შეეხება რომელიმე ბავშვს, მან უნდა დაუკრას ციმბალზე ჩაქუჩით. ხელმძღვანელმა უნდა ააფრიალოს თევზები დარტყმების შუალედებს შორის, რომ ბავშვებმა ისიამოვნონ ჟღერადობით.

3) მძინარე ტამბურინი

მიზნები:

- რიგითობის წაქეზება
- მოტორული უნარების განვითარება
- თვითკონტროლის განვითარება
- ჯგუფის თანამშრომლობის განვითარება

ჯგუფი ზის წრეში. ხელმძღვანელი ძალიან ფრთხილად აიღებს ტამბურინს და უხსნის ჯგუფს, რომ მას (ტამბურინს) „დაეძინა“ და არ უნდა გააღვიძონ. შემდეგ ხელმძღვანელი მას ძალიან ფრთხილად გადასცემს გვერდზე მჯდომ ბავშვს, ხმის ამოუღებლად. ჯგუფის წევრები ისე გადასცემენ ერთმანეთს წრეში "მძინარე ტამბურინს", რომ ხმა არ ისმის.

4) ზარის მეფე და დედოფალი

მიზნები:

- ჯგუფის ცნობიერების ხელის შეწყობა
- თვითშეგნების წახალისება

- თვითშეფასების ამაღლება

ერთი ადამიანი იწყებს ზარის გადაცემას ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის და თან მღერის ან ამბობს: „გიორგი გადაეცი ზარი ანას, ანა გადაეცი ზარი ნათიას, ნათია გადაეცი ზარი ლაშას...“ შემდეგ ხელმძღვანელი ირჩევს ჯგუფის ერთ წევრს ზარის მეფედ ან ზარის დედოფლად. ეს ადამიანი ცოტა ხნით დაიჭერს და რეკავს ზარს, ხოლო ჯგუფი მღერის ან ამბობს: „დღეს ნათია ზარის დედოფალია, დღეს ნათია ზარის დედოფალია, დღეს ნათია ზარის დედოფალია. დავუკრათ ტაში ნათიას“. შემდეგ კვლავ დაიწყეთ ზარის გადაცემა, გაიმეორეთ აქტივობა მანამ, სანამ ჯგუფის თითოეულ წევრს არ ექნება შანსი იყოს ზარის მეფე ან დედოფალი.

5) საწინააღმდეგო მოძრაობა

მიზნები:

- სოციალური უნარები– რიგითობის და გაზიარების სახალისება
- მოსმენის და დალოდების წახალისება
- ჯგუფის წევრებს შორის ტოლერანტობის წახალისება

ჯგუფი ზის წრიულად. ორი ინსტრუმენტი მიეცით ერთმანეთის გვერდით მჯდომ ორ ადამიანს. ეს ორი ადამიანი ცოტა ხანს უკრავს ერთად და შემდეგ გადასცემენ ინსტრუმენტებს საწინააღმდეგო მიმართულებით მათ გვერდით მყოფ ადამიანებს. შემდეგ ეს ორი ადამიანი უკრავს და გადასცემენ ინსტრუმენტებს. ეს აქტივობა გრძელდება მანამ, სანამ ჯგუფის თითოეულ წევრს არ მიეცემა დაკვრის შანსი.

6) გადაეცი მარაკასი და მერე მარტომ დაუკარი!

მიზნები:

- რიგითობის და გაზიარების წახალისება
- მოსმენის უნარების გაუმჯობესება
- რითმის შეგრძნების განვითარება
- ნდობის ამაღლება.

ჯგუფი ზის წრიულად. ერთ-ერთი თანამშრომელი პასუხისმგებელია ჩაწერილი მუსიკის კონტროლზე (CD საკრავის ან ტელეფონის).

ბავშვებს ვეხმარებით, რომ წრეში დროულად გადასცენ ერთმანეთს მარაკასი მუსიკის რითმის ქვეშ. როდესაც მუსიკა ჩერდება, რომელსაც აკონტროლებს ერთ-ერთი თანამშრომელი, მარაკასის მქონე ბავშვს შეუძლია ადგეს და დაუკრას მარტომ (შესაძლოა იცეკვოს კიდევ!)

სოლო შესრულების ბოლოს, მუსიკა კვლავ ირთვება და მარაკასის წრეზე გადაცემა გრძელდება მომდევნო გაჩერებამდე/სოლომდე და ასე შემდეგ.

მას შემდეგ, რაც ბავშვები იგრძნობენ თავდაჯერებულობას აქტივობის შესრულებისას, წააქეზეთ შეცვალონ მარაკასზე ერთი რითმის დაკვრა მარტივი რითმების განმეორებაზე.

აქტივობების შერჩევა

ყოველთვის, როცა ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ, ეს არის თვითგამოხატვის ფორმა. იგივე ეხება ბავშვებსაც, რომლებთანაც ჩვენ ვმუშაობთ. არჩევანის გაკეთება მათ თავდაჯერებულობის და დამოუკიდებლობის განცდას აძლევს. ხანდახან ჩვენ გვჭირდება კრეატიულობის გამოვლენა, რათა ბავშვებს არჩევანის გაკეთების საშუალება მივცეთ. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება თვალების ან სახის გამომეტყველებით გვაჩვენოს რა ურჩევნია. ზოგჯერ ეს ასე ხდება, როცა მათ ესმით სესიის ხელმძღვანელის მიერ დაკრული ინსტრუმენტის ხმა. გახსოვდეთ, რომ ბავშვებს შეუძლიათ არჩევანის გაკეთება. თავიდან ბავშვმა არჩევანი უნდა გააკეთოს მხოლოდ ორ ინსტრუმენტს შორის, რაც ერთგვარი საყრდენი ფაქტორი იქნება მათთვის, ხოლო შემდეგ მომავალში შეძლებენ არჩევანის გაკეთებას სამ ან მეტ ინსტრუმენტს შორის. სხვებს შეუძლიათ არჩევანის გაკეთება უფრო დიდი არჩევანიდან, თუმცა შეიძლება ზედმეტად აღფრთოვანდნენ არჩევისას და როცა ძალიან ბევრი ინსტრუმენტია ხელმისაწვდომი, შეიძლება ამან დაბნეულობა გამოიწვიოს.

მას შემდეგ რაც თქვენ განსაზღვრეთ თუ როგორ უნდა მართოთ ბავშვების მიერ გაკეთებული არჩევანი, შემდეგი სტრუქტურირებული აქტივობები შეგიძლიათ მოარგოთ ამ უნარის შემუშავებას:

მიზნები:

- მოსმენის და დალოდების წახალისება
- ხმის შესწავლის და აღმოჩენის ხელშეწყობა
- უნარების შერჩევის პრაქტიკა
- ნდობის დამყარება
- ჯგუფის სხვა წევრების მიმართ ტოლერანტობის წახალისება
- ინსტრუმენტზე დამკვრელი ბავშვისთვის საშუალების მიცემა „ილაპარაკოს“ და მოსმენილ იქნას

1) ყუთიდან ამორჩევა

a) სესიის ხელმძღვანელმა შეიძლება იმდროს მარტივი სიმღერა, რომელშიც ის რიგრიგობით იწვევს თითოეულ ბავშვს აირჩიონ ინსტრუმენტი ყუთიდან. ბავშვს, რომელმაც შეარჩია ინსტრუმენტი, უნდა მიეცეს დრო ჯგუფისთვის დაუკრას ინსტრუმენტზე, სანამ ინსტრუმენტს ყუთში დააბრუნებს. შემდეგ სიმღერა მეორდება და სხვა ბავშვს სთავაზობთ ინსტრუმენტის არჩევას.

b) თუ იმ ბავშვს, რომელმაც ამოარჩია ინსტრუმენტი, სჭირდება დახმარება დაკვრისას, სესიის ხელმძღვანელს შეუძლია წაიმღეროს სიმღერა, სანამ ბავშვი უკრავს.

რჩევა: განაგრძეთ სიმღერა, სანამ ბავშვი ირჩევს ინსტრუმენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დალოდების წუთები გაგრძელდეს დიდი ხნით და გახდეს მოსაწყენი, შესაბამისად ეს აქტივობა დაკარგავს მამოძრავებელ ძალას - ისევე როგორც სხვა ბავშვი დაკარგავს ინტერესს. ყველა აქტივობისას მნიშვნელოვანია, ჯგუფის წევრებს შესთავაზოთ „სოლო“-ს დასაკრავი დრო, რათა მთელი ჯგუფი ჩაერთოს.

2) წრის ირგვლივ სიარული

ჯგუფის წევრი დადის წრის გარეთ სესიის ხელმძღვანელის თანხლებით, რომელიც მღერის იმპროვიზირებულ სიმღერას თემაზე "გასეირნება წრის გარშემო". სიმღერის ბოლოს ჯგუფის წევრი ირჩევს ინსტრუმენტს და უბრუნდება თავის ადგილს, რომ

დაუკრას. მომდევნო ბავშვი იგივეს აკეთებს და ასე გრძელდება, სანამ ყველა ბავშვი „არ შემოივლის წრეს“ და არ დაჯდება წრეში ინსტრუმენტთან ერთად.

3) ამოარჩიეთ ერთმანეთისთვის

ჯგუფის წევრები ერთმანეთისთვის ირჩევენ სხვადასხვა ინსტრუმენტებს. ეს აქტივობა შეიძლება განხორციელდეს თანმხლებების გარეშე, კულმინაციას აღწევს როცა ჯგუფის ყველა წევრი ერთად უკრავს თავისუფლად ან როცა სტრუქტურირებულია სიმღერით. (ვარიანტები: 1. ბავშვი ირჩევს ინსტრუმენტს და ხელმძღვანელი ეკითხება: ვის გინდა ეს გადასცე? 2. ხელმძღვანელი ეკითხება: ვისთვის გსურს აირჩიო ინსტრუმენტი? ბავშვი ირჩევს მეგობარს და ირჩევს ინსტრუმენტს მისთვის.

რჩევა: ხელმძღვანელმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს ჯგუფისთვის შეთავაზებული ინსტრუმენტების არჩევანის შეზღუდვა.

4) რისი დაკვრა გსურთ?

a) ყველა ზის წრეში, ხოლო ინსტრუმენტები დევს შუაში. ბავშვებს სთავაზობენ დაუკრან ტაში მუხლებზე ან უბრალოდ ტაში დაუკრან ყველამ ერთად. მას შემდეგ რაც ყველა ერთად (მეტნაკლებად ყველა!) შეიკრიბა, ხელმძღვანელი წაიმღერებს "რისი დაკვრა გსურს [ბავშვის სახელი]?" დასახელებულ ბავშვს სთავაზობს შევიდეს წრის შუაში და აირჩიოს ინსტრუმენტი. როდესაც ბავშვი უკრავს მის მიერ არჩეულ ინსტრუმენტზე, სესიის ხელმძღვანელს შეუძლია იმღეროს: „[ბავშვის სახელი] უკრავს [ინსტრუმენტის სახელს]“ ან შეუსაბამოს მათ მიერ არჩეული ინსტრუმენტი ჟღერადობასთან (მაგ. ტაში, ტაში, ტამბურინზე). მას შემდეგ, რაც ბავშვმა თავისი ჯერი დაასრულა (საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელს შეუძლია ბავშვი შეაჩეროს, შემდეგი სიტყვების წამღერებით: „და ახლა მოემზადე სიმღერის დასასრულებლად“) ისინი გადადებენ ინსტრუმენტს და ისევ შუაში დებენ. მუხლზე დარტყმა (ან ტაში) გრძელდება და ჯგუფის სხვა წევრს სთავაზობენ დაკვრას. გაიმეორეთ ეს აქტივობა მანამ, სანამ ყველა ბავშვის ჯერი არ მოვა.

რჩევა: თუ თქვენ ერთი და იმავე ინსტრუმენტების მცირე არჩევანს იყენებთ ყოველ კვირას, ჯგუფის სხვა წევრებმა შეიძლება დაიწყონ ჟღერადობის მისადაგება კონკრეტულ ინსტრუმენტთან და შეუერთდნენ აქტივობას ამ ბგერების განმეორებით, სანამ ჯგუფის ცენტრში მჯდომი ბავშვი უკრავს ინსტრუმენტზე.

b) დაალაგეთ ინსტრუმენტების ორი ნაკრები თითოეული ბავშვის წინაშე: შეიკერი და ტამბურინი. სესიის ხელმძღვანელი სთავაზობს ერთ-ერთ ბავშვს აირჩიოს რომელი ინსტრუმენტზე სურს მას დაკვრა. მას მერე რაც ბავშვი სოლო მუსიკას დაუკრავს (სესიის ხელმძღვანელი ეხმარება სხვა ინსტრუმენტზე დაკვრით, მაგალითად მეტალოფონზე), ხოლო ჯგუფის დანარჩენ წევრებს სთავაზობს თვითონ აიღონ იგივე ინსტრუმენტი თავიანთი ნაკრებიდან და შემდგომ მთელი ჯგუფი უკრავს ერთად.

რჩევა: . თუ ჯგუფის წევრის თანმიმდევრობა დასასრულებელია, წაიმღერეთ სიმღერა: „და ახლა მოემზადე... რომ შეწყვიტო სიმღერა“. თქვენ ასევე შეგიძლიათ იხმაროთ ისეთი შესტი, როგორცაა ხელის აწევა, ან დასასრულის აღსანიშნად, ჩაქუჩი ან ინსტრუმენტი დადოთ თქვენს წინ იატაკზე.

ინსტრუმენტების გადაცემა & ჟღერადობა

მიზნები:

- თანატოლებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება და ჯგუფის ცნობიერების ამაღლება
- რიგითობის და გაზიარების წაქეზება
- მოტორული უნარების განვითარება
- კონცენტრაციის განვითარება

1) გადაეცით ტამბურინი

სესიის ხელმძღვანელი დგას წრის შუაში, ხელში ტამბურინი უჭირავს და ჯგუფის თითოეულ წევრს სთავაზობს ერთხელ დაარტყან ინსტრუმენტს. შეეცადეთ შეინარჩუნოთ სიურპრიზის ეფექტი ინსტრუმენტის არეულად შეთავაზებით. ეს შეგიძლიათ რამდენჯერმე გაიმეოროთ ჯგუფის წევრებს შორის მოლოდინის შეგრძნების შესაქმნელად.

2) გადაეცით ციმბალი

იგივეა, რაც „გადაეცით ტამბურინი“, ოღონდ თეფშის გამოყენებით. თითოეულ ბავშვს უნდა მიეცეს ჩაქუჩი აქტივობის დაწყებამდე.

3) გადაეცით ზარი

a) ხელმძღვანელი გააგორებს ბურთს ჯგუფის წევრისკენ და თან მის სახელს წაიმღერებს. შემდეგ ბავშვი უბრუნებს ბურთს სესიის ხელმძღვანელს. ხელმძღვანელი იმეორებს ამას, რიგრიგობით აგორებს ბურთს ჯგუფის თითოეულ წევრს მიმართ და ბავშვები ელოდებიან, ვის სახელს იმღერებს სესიის ხელმძღვანელი.

b) ჯგუფის წევრებს სთავაზობენ თავად აირჩიონ ვის უნდა გაუგორონ ბურთი და (საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელი) წაუმღერებს შესაბამისი ბავშვის სახელს.

4) ყველა იცვლება!

ჯგუფის ყველა წევრს სთავაზობთ ინსტრუმენტის არჩევას და დაკვრას, სესიის ხელმძღვანელი კი საკუთარ ინსტრუმენტზე უკრავს. როდესაც ხელმძღვანელი შეწყვეტს დაკვრას, ბავშვებიც უნდა გაჩერდნენ და გადასცენ ინსტრუმენტი მარჯვენა მხარეს მყოფ ბავშვს.

5) ინსტრუმენტის გადაცემა

ინსტრუმენტი გადაეცემა ჯგუფში ყველას. პარალელურად მუსიკა უკრავს (ან ხელმძღვანელის მიერ ჩაწერილი ან ხელმძღვანელის მიერ იმპროვიზირებული). როდესაც მუსიკა შეწყდება, ის რომელსაც ინსტრუმენტი უკავია, უკრავს სოლოს.

6) მოუსმინეთ ზარებს

ჯგუფი მღერის „მოუსმინეთ ზარებს“ თითოეულ წევრს ეძლევა საშუალება დაუკრას

ერთი კუპლეტი ზარებზე (ან მის მსგავს ინსტრუმენტზე)

7) გადაეცით ოკეანის დოლი

ოკეანის დოლი გადაეცით ჯგუფის ყველა წევრს, რომ იმპროვიზირებულად დაუკრან და გადასცენ ერთმანეთს. ხელმძღვანელი მღერის ან უკრავს მუსიკას.

8) გადაეცით ტედი ბეარი

ჯგუფი ზის წრიულად და ხელმძღვანელი მღერის სიმღერას „გადაეცი ტედი ბეარი“. წააქეზეთ ბავშვები აყვინენ ხელმძღვანელს სიმღერაში. სიმღერის ბოლოს ხელმძღვანელი ირჩევს ბავშვს, რომელსაც ტედი უნდა მისცეს. შემდეგ სიმღერა მეორდება და თან ტედი გადაეცემა ჯგუფის ახალ წევრს ყოველი კუპლეტის ბოლოს. ტედი ან რიგრიგობით გადაეცემა ჯგუფის წევრებს, ან ჰკითხეთ ბავშვს, რომელსაც ტედი უჭირავს, ვის გადასცემს ტედის.

რჩევა: ზოგიერთ ბავშვს შეიძლება არ უყვარდეს პლუმზე შეხება, ამიტომ სხვა საგანი უნდა გამოიყენოთ, მაგალითად თოჯინა ან შესაძლოა სხვა ინსტრუმენტი, რომელსაც სიმღერის სიტყვები უნდა მოარგოთ.

9) გადაეცით ჟღერადობა

a) ჯგუფის თითოეული წევრი ირჩევს ინსტრუმენტს და უკრავს რიგრიგობით.

b) ჯგუფის თითოეული წევრი ირჩევს ინსტრუმენტს, ირჩევენ რომელიმე ბავშვს, რომ იმღეროს სიმღერა მათი სახელების წამღერებით. როცა ისინი დაასრულებენ დაკვრას, მათ შეუძლიათ აირჩიონ შემდეგი, ვინც წაიმღერებს მათ სახელებს.

რჩევა: ხელმძღვანელმა შეიძლება ჩათვალოს, რომ კარგი იქნება ინსტრუმენტის გადაცემისას, თან სიმღერის შესრულება. ეს მისცემს საშუალებას ჯგუფს იყოს სტრუქტურირებული, ხოლო მას ექნება საშუალება მართოს ჯგუფის წევრები. ამის შემდეგ შეგიძლიათ დააკვირდეთ, რა ხდება როცა სიმღერა შეწყდება და ბავშვებმა სიმღერის გარეშე უნდა გაარკვიონ როდის მიიღონ მონაწილეობა და როდის შეწყვიტონ.

10) ბონგოს გადაცემა

სესიის ხელმძღვანელი ზის დიდი დოლით და ჩაქუჩით. ჯგუფის წევრს უჭირავს ბონგოები. როდესაც ხელმძღვანელი იწყებს დრამზე თანაბარი რითმის დაკვრას, ბონგოები წრიულად გადაეცემათ ჯგუფის წევრებს. ამ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ზრდასრულის დახმარება. როდესაც ხელმძღვანელი წყვეტს დაკვრას, ბავშვიც წყვეტს ბონგოზე დაკვრას. ბავშვს აქვს თავისუფლად დაკვრის შესაძლებლობა, ხელმძღვანელის დახმარებით, რომელიც უკრავს თავის დრამზე. შემდეგ აქტივობა მეორდება, როდესაც ხელმძღვანელი დრამზე კვლავ იწყებს თანაბარი რითმის დაკვრას.

ლიდერობის თამაშები

ბევრ ჯგუფს ჰყავს ლიდერი და ისეთებიც, რომლებიც ნაკლებად სავარაუდოა გახდნენ ლიდერები. ეს აქტივობები ყველას აძლევს შესაძლებლობას იყვნენ ლიდერები და გააკონტროლონ მათ ირგვლივ რა ხდება, რაც ავითარებს თავდაჯერებულობას. გარდა ამისა, როცა ხედავ და გესმის სხვა როგორ მისდევს შენს მაგალითს, თქვენს პოტენციალს კონკრეტული გამოცდილება ემატება, თუ როგორ უნდა მოახდინო გავლენა სხვებზე. თქვენ ასევე შეგიძლიათ აღმოაჩინოთ, რომ მორცხვი ბავშვები უფრო ხმამაღლა და

თავდაჯერებულად უკრავენ, როდესაც აპყვებიან ხელმძღვანელს, რომელიც უფრო ხმამაღლა უკრავს.

ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებში, შეგიძლიათ ბავშვები წააქეზოთ ლიდერობისკენ. აქტივობა ყოველთვის რიგრიგობით შესთავაზეთ ჯგუფის თითოეულ წევრს, მაგრამ ისიც გაითალისწინეთ, რომ ზოგიერთ ბავშვს არ უნდა ლიდერობა.

1) გამოჰყევით ლიდერს

მიზნები:

- კონცენტრაცია და ყურადღებით მოსმენა
- მათი დაკვრის ჟღერადობის გათვითცნობიერება
- თვითდაჯერებულობის განვითარება, განსაკუთრებით ჯგუფის ხელმძღვანელობისას.
- დაკვრა ჯგუფის შემადგენლობაში

a) თითოეულ ბავშვს აქვს პატარა ინსტრუმენტი და ზის წრეში. ხელმძღვანელი უკრავს და ჯგუფი იმეორებს. როდესაც ხელმძღვანელი წყვეტს დაკვრას (ინსტრუმენტის ქვევით დადებით) ჯგუფმა უნდა გაიმეოროს და შეწყვიტოს დაკვრა. სანამ აქტივობა განმეორდება, არის სიჩუმის წუთი. ჯგუფში სხვადასხვა ბავშვს შეუძლია იყოს ლიდერი რიგრიგობით.

b) ყველა ირჩევს ინსტრუმენტს და იწყებს დაკვრას. ხელმძღვანელი იყენებს ჟესტებს ან მუსიკალურ სიგნალს (მაგ.,ორი დარტყმა დრამზე) ამით მიუთითებს, რომ ჯგუფმა უნდა შეწყვიტოს დაკვრა, და ერთ ბავშვს აქეზებს განაგრძოს დაკვრა დამოუკიდებლად. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჯგუფის დანარჩენი წევრები ისევ უერთდებიან დაკვრას. ხელმძღვანელი იწვევს თითოეულ წევრს, რომ დაუკრას დამოუკიდებლად.

c) ჯგუფის თითოეული წევრი ირჩევს ინსტრუმენტს. სესიის ხელმძღვანელი იწყებს დაკვრას და ბავშვებს თხოვენ შეუერთდნენ და დაუკრან ხელმძღვანელივით. მაგალითად, თუ ხელმძღვანელი ხმამაღლა უკრავს ინსტრუმენტზე, ჯგუფი ცდილობს ამ ჟღერადობის მისადაგებას თავიანთ ინსტრუმენტზე. თუ ხელმძღვანელი რბილად შეანჯღრევს თავის ინსტრუმენტს, ჯგუფი ისევ ყურადღებით უსმენს და მიუსადაგებს ამ ჟღერადობას თავიანთ ინსტრუმენტზე. ჟღერადობა და ფიზიკური მოძრაობები შეიძლება მუსიკალური ინსტრუმენტების ნაცვლად იქნას გამოყენებულ ამ აქტივობისთვის.

d) ოთახის ირგვლივ განათავსეთ რამდენიმე ინსტრუმენტი (თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს ერთი ინსტრუმენტი). თხოვეთ თითოეულ ბავშვს მივიდეს ინსტრუმენტთან და დაელოდოს ხელმძღვანელის მიერ დაკვრის დაწყებას. როდესაც ხელმძღვანელი უკრავს, ბავშვებსაც შეუძლიათ დაუკრან - თუნდაც გაიმეორონ იგივე, რასაც ხელმძღვანელი უკრავს. როდესაც ხელმძღვანელი ჩერდება, ბავშვებიც უნდა გაჩერდნენ. შემდეგ თხოვეთ მათ სხვა ინსტრუმენტზე გადავიდნენ და გაიმეორონ აქტივობა.

რჩევა: სცადეთ შეცვალოთ თქვენს მიერ დაკრულის ჟღერადობა და ნახეთ, რამდენი ხანი სჭირდება ჯგუფს, რომ მოერგონ თქვენს მიერ დაკრულის ჟღერადობას.

2) დირიჟორი

იპოვეთ ვინმე მოხალისე, ან ჯგუფის წევრებიდან აირჩიეთ ვინმე დირიჟორად. სთხოვეთ ჯგუფის დანარჩენ წევრებს აირჩიონ ერთი ინსტრუმენტი თქვენს მიერ შერჩეული ინსტრუმენტებიდან.

სთხოვეთ მუსიკის შემსრულებელ ბავშვებს, დასხდნენ დიდ წრეში დირიჟორის გარშემო, დირიჟორი უნდა იდგეს. დირიჟორი, მათ მიერ დაკრულის სადირიჟოროდ, აჩვენებს კონკრეტულ სიგნალებს ხელებით, მაგალითად: ხელების გაშლა ჯგუფისკენ = დასაწყისია, დახურული ხელები = გაჩერება; ხელები მაღლა = ხმამაღლა დაკვრა; და ხელები ქვემოთ = რბილად დაკვრა. მას შემდეგ რაც ამ სიგნალებს გაიაზრებენ მუსიკის შემქმნელები, დირიჟორს შეუძლია დაიწყოს მუსიკა.

არ დაგავიწყდეთ: როცა მუსიკის შექმნის პროცესი იწყება, მითითებები სიტყვიერად არ უნდა მიეცეს. როცა დირიჟორი ერთდროულად მიუთითებს ორ ადამიანზე, ერთს ან მეტ დამკვრელს შეუძლია დაკვრა.

3) ოჰ, ჩვენ შეგვიძლია დიდი ბასის დრამზე დავუკრათ!

მიზნები:

- ყურადღების და მოსმენის უნარების განვითარება
- სხვების გაგების უნარის წაქეზება
- მოტორული უნარების და კოორდინაციის განვითარება
- ბავშვების წახალისება მონაწილეობის მიღებაზე
- ბავშვების წახალისება, გამოხატონ გრძნობები ჯგუფში

ნებისმიერი რამ შეიძლება გამოიყენოს დოლის სახით ამ აქტივობაში (მაგალითად, ქვაბი, ნაგვის ურნა). თხოვეთ ყველა ბავშვს ერთად დაუკრან როცა სესიის ხელმძღვანელი მღერის სიმღერას, შემდეგი სიტყვებით:

“ჩვენ შეგვიძლია დავუკრათ ამ დიდი ბასის დრამზე,
დიდი ბასის დრამი, დიდი ბასის დრამი.

ჩვენ შეგვიძლია დავუკრათ დიდი ბასის დრამზე,
აი ზუსტად ასე...”

შემდეგ ხელმძღვანელი ირჩევს ერთ-ერთ ბავშვს, რომელიც სხვებს უხელმძღვანელებს დაკვრისას. სხვა ბავშვები უნდა წახალისონ, გაიმეორონ არჩეული ბავშვის დაკრული, მერე ხელმძღვანელი მღერის:

“ჩენ შეგვიძლია დავუკრათ, როგორც [ბავშვის სახელი] უკრავს,
[ბავშვის სახელი] უკრავს, [ბავშვის სახელი] უკრავს.

ჩვენ შეგვიძლია დავუკრათ, როგორც [ბავშვის სახელი] უკრავს.
აი ზუსტად ასე!”

რჩევა: თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ ეს აქტივობა დოლის თავის ადგილზე დადებით, მოკალათდეთ გემრიელად და დააკვირდეთ რა მოხდება ჯგუფის წევრებს შორის. შესთავაზეთ მათ შეიკრიბონ დოლის გარშემო და თქვით „დაიწყე!“. სანამ თქვენ ჩაერევით პროცესში, საინტერესო იქნება ვინ ლიდერობს, ვინ თავს იკავებს და ა.შ. ამის შემდეგ შეგიძლიათ შესთავაზოთ სიმღერა, რომ დარწმუნდეთ, თუ ვინ და როგორ მონაწილეობს, ან ჯგუფის ნაკლებად ჩართული წევრები ჩართოთ ჯგუფური მუსიკის შექმნაში.

4) გამოწყევით ხელმძღვანელს

მიზნები:

- ლიდერობის და ლიდერის მოსმენის გამოცდილების შექმნა
- მოსმენის და ყურადღების უნარების განვითარება
- ნდობის ჩამოყალიბება
- მოტორული და საკოორდინაციო უნარების ჩამოყალიბება
- საკუთარი სხეულის შეცნობა

აირჩიეთ სამი კონტრასტული მუსიკალური ინსტრუმენტი და მოათავსეთ ისინი ჯგუფის შუაში (მაგალითად: ზარები, დრამი, მარაკასი). სხეული ამოდრავთ ინსტრუმენტის ჟღერადობის შესაბამისად (მაგალითად: ზარები = თავის ქნევა; დრამი = ფეხების დარტყმა და მარაკასი = მკლავის ქნევა). შეარჩიეთ ჯგუფიდან ერთი ბავშვი, ან მოხალისე, რომ დაუკრას რაიმე მუსიკა. რომელი ინსტრუმენტის დაკვრასაც აირჩევენ, სესიის ხელმძღვანელი პასუხობს სხეულის შესაბამისი მოძრაობით. ჯგუფის დანარჩენი წევრები უერთდებიან მოძრაობებს. თუ დამკვრელი ცვლის ინსტრუმენტს, სესიის ხელმძღვანელმაც უნდა შეცვალოს მისი სხეულის მოძრაობა შესაბამისად.

რჩევა: მუსიკის შემქმნელს შეიძლება ხშირად მოუნდეს ინსტრუმენტის შეცვლა და ამან შეიძლება გაართულოს მთელი ჯგუფის ჩართვა მოძრაობებში. სესიის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მუსიკის შემქმნელ ბავშვზე. შეგიძლიათ ზრდასრულს სთხოვოთ დახმარება, რომ ჯგუფის დანარჩენ წევრებს სხეულის მოძრაობებში დაეხმაროს. დროთა განმავლობაში, შეგიძლიათ სცადოთ მეტი ინსტრუმენტი ან შესთავაზოთ ბავშვებს თვითონ მოიფიქრონ ფიზიკური მოძრაობები.

5) სარკირება ანუ განმეორება

მიზნები:

- მართვის და მიმდევრობის წახალისება
- კონცენტრაციის წახალისება
- მოსმენის და ყურების წახალისება
- იმიტაციის და ინტერაქციის წახალისება

ჯგუფის ორი წევრი ზის ერთმანეთის პირისპირ ერთნაირი ინსტრუმენტებით (მაგალითად: ორი წყვილი მარაკასი; ორი განსხვავებული დრამი). შემდეგ ისინი წყვეტენ ვინ იქნება ლიდერი. ლიდერი უკრავს და მეორე ადამიანი იმეორებს მის დაკრულს. ეს შეიძლება გაკეთდეს რიგრიგობით ან ერთდროულად. შემდეგ შეუძლიათ როლები გაცვალონ. ეს აქტივობა შეიძლება მცირე ჯგუფებში უფრო გამოგადგეთ.

იმოდრავეთ!

მიზნები:

- საკუთარი თავის გათვითცნობიერება ჯგუფის წევრებთან მიმართებაში (სოციალური გაცნობიერება)
- ვიზუალური აღქმის პრაქტიკა
- ლიდერობის წაქეზება
- მოტორული უნარების და კოორდინაციის განვითარება
- თვითშეფასების და თავდაჯერებულობის ამაღლება
- ფიზიკური ენერჯის წარმართვა

1) გამოჰყევით ხელმძღვანელს

ორჩევა ლიდერი და ჯგუფის დანარჩენი წევრები იმეორებენ მის ქმედებებს. ეს შეიძლება გაკეთდეს ინსტრუმენტებით ან მათ გარეშე. (ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეს აქტივობა განსაკუთრებით კარგად სრულდება მარაკასების მეშვეობით.)

2) გაჭიმვა სიმალეში!

მოიგონეთ სიმღერა და შესთავაზეთ ჯგუფის წევრებს იატაკზე ჯდომიდან „აიზიდონ“, დადგნენ ფეხის წვერებზე მაღლა აწეული ხელებით და თითებით ცას მისწვდნენ!

3) ფართოდ გაჭიმვა

ზემოთ მოცემული ვარიანტი.

4) ქსოვილით ცეკვა

ჯგუფი ზის ან დგას წრეში და კიდევში უჭირავთ ქსოვილის ნაჭერი. ჩართეთ რაიმე დამამშვიდებელი ჩაწერილი მუსიკა. ასწავლეთ ქსოვილის გაჭიმვა, აწევა, ტრიალი და ა.შ. ბოლოს დაკეცეთ ქსოვილი და შეინახეთ.

პერსონალის ერთ-ერთ წევრს შეუძლია უხელმძღვანელოს აქტივობას. თუ ბავშვები არ ავლენენ დიდ ენთუზიას, წააქეზეთ ის მოძრაობები, რომელსაც თვითონ აირჩევენ. მაგალითად, თუ ბავშვი ქსოვილს ექაჩება, წახალისეთ სხვებიც, რომ გაიმეორონ იგივე მოძრაობები.

იდეები: შეეცადეთ თითოეულ ბავშვს მიაწოდოთ თითოეული ქსოვილის ნაჭერი და წარუდგინოთ ახალი აქტივობა, რომლის აღმოჩენას დამოუკიდებლად შეძლებენ და იმოდრავებენ ამ ქსოვილით.

5) დაუკარით და იცეკვეთ

ჯგუფის ერთი წევრი უკრავს დრამზე ან ციმბალზე მარტო; ეს არის მითითება, ჯგუფის სხვა წევრებისთვის, რომ იმოდრაონ და იცეკვონ. ვისაც მოძრაობა უჭირს, შეუძლიათ ამოდრაონ თითები, ხელები, მკლავები ან ფეხები. როდესაც მუსიკა ჩერდება, ჯგუფმა უცებ უნდა შეწყვიტოს მოძრაობა და გაჩერდეს. როდესაც მუსიკა კვლავ ჩაირთვება,

ყველას შეუძლია ისევ დაიწყოს ცეკვა. ჯგუფის წევრები რიგრიგობით უნდა იწყონ ლიდერები, რომლებიც დაუკრავენ ან დოლზე ან ციმბალზე.

6) საცეკვაო დუეტი

მიზნები:

- თვალის კონტაქტის გაუმჯობესება
- ყურადღების და კონცენტრაციის განვითარება
- იმიტაციის პრაქტიკა
- მთელი რიგი მოტორული უნარების განვითარება
- ინიციატივის წაქეზება

ჩართეთ ცოცხალი მუსიკის ფონოგრამა, ბავშვები დააწყვილეთ. პერსონალის წევრებსაც შეუძლიათ ბავშვებთან წყვილში ყოფნა და ამგვარად შეასრულონ აქტივობები ბავშვებთან. წყვილებმა უნდა გაიმეორონ ერთმანეთის მოძრაობები.

რჩევა: გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთ ბავშვს შეუძლია სხვა ბავშვთან ყოფნა წყვილში და ზოგს სჭირდება პერსონალის წევრთან ერთად წყვილში ყოფნა. ასევე, გაითვალისწინეთ, რომ ეს აქტივობა გულისხმობს სხვა ადამიანთან დაახლოებას, რაც ზოგიერთი ბავშვისთვის შეიძლება ძალიან რთული იყოს დასაწყისში. თქვენ შეგიძლიათ სცადოთ უბრალოდ იცეკვოთ მათთან ერთად და დაეხმაროთ მათ გარკვეული მოძრაობების შესრულებაში (მაგალითად, დაეხმარეთ ხელების აწევაში, შემოატრიალეთ იგი თქვენს გარშემო).

7) იარე ჩემსავით

დაუკარით რითმული ცოცხალი მუსიკა. სესიის ხელმძღვანელი დადის ოთახის ერთი ბოლოდან მეორეში სხვადასხვანაირად: დიდი ნაბიჯებით, პაწაწინა ნაბიჯებით, სირბილით, ნელი მოძრაობით, მუხლის მაღლა აწევით, ნელი სიარულით, ხტუნვით, მუხლებით სიარულით და ა.შ. ჯგუფის წევრები ცდილობენ გაიმეორონ სიარულის სხვადასხვა სტილი.

რჩევა: შეზღუდული შესაძლებლობების გამო ზოგიერთი ბავშვისთვის რთულია გადაადგილება ან ხტომის მსგავსი მოძრაობების გაკეთება. ისეთი სავარჯიშოები შეარჩიეთ ბავშვებისთვის, რომ მათ შეძლონ სხვადასხვა სახის მოძრაობების გაკეთება.

8) იცეკვოთ და გაჩერდით!

a) ჩართეთ ფონოგრამა. როცა მუსიკა ჩაირთვება, ყველა ცეკვავს. როდესაც მუსიკა შეწყდება ყველა უნდა დადგეს მაქსიმალურად მშვიდად და იყოს ძალიან ჩუმად. ნახეთ, რამდენ ხანს შეუძლია ჯგუფს დუმილი. ამ აქტივობის შესრულება შეგიძლიათ ინსტრუმენტებზე დაკვრის დროსაც.

b) ფონოგრამის ქვეშ ყველა ირჩევს ინსტრუმენტს, უკრავს და თან ცეკვავს მუსიკის ქვეშ. როდესაც მუსიკა ჩერდება, სათითაოდ ყველა მიუბრუნდება ყველაზე ახლოს მჯდომს და ერთად უკრავს ცოტა ხანს. როდესაც მუსიკა ისევ იწყება, წყვილები ცვლიან ინსტრუმენტებს და იმეორებენ.

9) დაუკარი და გაიქეცი

მიზნები:

- ფიზიკური აქტივობის წაქეზება
- რეაქციების დაჩქარება
- ენერჯის გამოშვება

სესიის ხელმძღვანელი განალაგებს რამდენიმე უფრო დიდ მუსიკალურ ინსტრუმენტს ოთახის სხვადასხვა კუთხეში, ისე, რომ მათ შორის დიდი ადგილი იყოს. როდესაც ხელმძღვანელი იწყებს დაკვრას, თითოეული მონაწილე ირჩევს ინსტრუმენტს და იწყებს დაკვრას, საჭიროების შემთხვევაში უზიარებს სხვა ბავშვს. როდესაც ხელმძღვანელი შეწყვიტავს დაკვრას, ყველა მირბის განსხვავებული ინსტრუმენტისკენ და ელოდება ხელმძღვანელს, როდის დაიწყებს დაკვრას.

ცნობილი სიმღერების გამოყენება

ნაცნობი საბავშვო სიმღერები ასევე შესანიშნავი რესურსია *მუსიკა, როგორც თერაპიის* ჯგუფებში გამოსაყენებლად. ეს ის სიმღერებია, რომლებიც ძალიან კარგად იცით და შეძლებთ თავდაჯერებულად შეასრულოთ თქვენს ჯგუფთან ერთად. ასეთი სიმღერები ბავშვებს აძლევს ვოკალური, საკომუნიკაციო და სმენითი გამოცდილების ფართო სპექტრს და წარმოადგენს აქტივობების დიდ წყაროს, რომელსაც მოქნილად გამოიყენებენ განვითარებისთვის.

სიმღერა	განვითარების მიზნები
<p>ცნობილი სიმღერა, რომელშიც ცხოველებია ნახსენები</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქტიური მონაწილეობისა და მოსმენის ხელშეწყობა • ვოკალური უნარების წახალისება (მაგალითად, შეუძლიათ თუ არა მათ შესაბამისი ცხოველის ხმა განასახიერონ?) • წვრილი მოტორული უნარების წახალისება (თუ გამოიყენებთ სათამაშო ცხოველებს, რომ ბავშვებმა დაიკავონ ხელში) • მოლოდინი
<p>იდეები: შესთავაზეთ ჯგუფის წევრს აირჩიოს ცხოველი (ნახატების ან სათამაშოების ნაკრებიდან) ან ამოიღოს ჩანთიდან. შემდეგ სესიის ხელმძღვანელი მღერის შესაბამის კუპლეტს, რითიც წახალისებს ბავშვებს, გააჟრელონ შესაბამისი ცხოველის ხმა, ან მთლიანად იმღერონ სიმღერა.</p>	

<p>ცნობილი სიმღერა, რომელშიც ნახსენებია სხეულის ნაწილები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ორივე ხელის აქტივობა¹ • შუა ხაზის გაცნობიერება² • კოორდინაცია • მოსმენის წაქეზება • იმპულსების კონტროლის პრაქტიკა • ჯგუფის ერთად შეკრება მონაწილეობის მისაღებად
<p>იდეები: სესიის ხელმძღვანელი წარმოგიდგინებთ სიმღერას, ტაშს უკრავს და აბაკუნებს ფეხებს (ან ურტყამს) სიმღერის შესაბამის კუპლეტზე. შეგიძლიათ სხეულის სხვა მარტივი მოძრაობებიც შეასრულოთ. სასურველია სიმღერის ტემპი იყოს საკმარისად ნელი, რომ ბავშვებმა თავისებურად შეძლონ სიმღერაზე აყოლა.</p>	
<p>ცნობილი სიმღერა, რომელიც აღწერს სხვადასხვა მოძრაობებს</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქტიური მონაწილეობისა და მოსმენის ხელშეწყობა • წარმოსახვის უნარის განვითარება • კონცენტრაციის განვითარება • კოორდინაცია • უხეში მოტორიკის თანმიმდევრობის შესრულება • ვოკალური უნარების წახალისება
<p>იდეები: სიმღერის ეს აქტივობა შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან, რადგან თქვენ წყვიტავთ სიმღერასთან ერთად რამდენად რთული შესასრულებელია ესა თუ ის აქტივობა. გახსოვდეთ, რომ შესრულების ტემპი უნდა იყოს ძალიან ნელი! შესაძლოა ურჩიოთ თქვენი ჯგუფის წევრებს აწიონ და ჩამოწიონ ხელები მისამღერის დროს ან შეიძლება სიმღერის დაწყებისთანავე იარონ ოთახში.</p>	
<p>ცნობილი დინამიური სიმღერა, რომელშიც ცხოველი ან ბავშვი იმალება და პოულობენ</p>	<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი თავის გაცნობიერება ჯგუფის წევრებთან მიმართებაში (სოციალური გაცნობიერებულობა) • თავდაჯერებულობის ჩამოყალიბება • მოლოდინისა და იმპულსების კონტროლის პრაქტიკა

¹ Bi Lateral Hand აქტივობა არის ბავშვების უნარი ორივე ხელი იხმარონ სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად (მაგალითად, მალეტის დაჭერა ერთ ხელში და დოლზე დაკვრა მეორეთი). ეს იმაზე მიუთითებს, რომ ტვინის ორივე ნახევარსფერო მუშაობს, არის მარცხენა და მარჯვენა ხელის ბალანსი და შეუძლია სიარული.

² შუახაზის გაცნობიერება არის იდენტიფიკაცია, რომელსაც ჩვილები თავიანთი განვითარების შესაბამისად აცნობიერებენ, რომ აქვთ ცენტრის შეგრძნება. აქტივობები უკვე აღარ ხორციელდება გვერდზე- წარმოიდგინეთ ახალშობილი ბავშვი, რომელიც წევს თავმობრუნებული, რომ დაინახოს ან მიწვდეს რაღაცას – და ეს შესაძლოა მოხდეს ცენტრის გააზრებით. განვითარების აღნიშნული ეტაპი არის გასაღები ყველა სხვა შემდგომი სწავლებებისთვის.

იდეები: შესთავაზეთ ბავშვს დაიჭიროს ხელში სათამაშო ცხოველი, პირველი კუპლეტის შესრულებისას. შემდეგ ის დებს სათამაშოს წრის შუაში და ხელმძღვანელი მას მწვანე ქსოვილს აფარებს (მაღავს!). მეორე კუპლეტის ბოლოს ხელმძღვანელი ქსოვილს აშორებს სათამაშოს და ბავშვი ისევ სათამაშოს ეფერება.

ცნობილი სიმღერა, რაღაცის შესახებ, რაც მოძრაობს (მაგალითად პეპელა, ჩიტი, ქარი ან ზღვა)

- ჯგუფის შეკრება მონაწილეობისთვის
- მოტორული უნარების და კოორდინაციის განვითარება
- ნდობის ჩამოყალიბება
- გუნდური მუშაობის და ლიდერობის უნარების წაქეზება
- მოსმენის წაქეზება
- იმპულსების კონტროლის პრაქტიკა

რჩევები: ბავშვები სხედან წრიულად და ებლაუჭებიან ქსოვილის დიდი ნაჭრის კიდეებს. სესიის ხელმძღვანელი ბავშვებს ერთი, ორი, სამის დათვლის შემდეგ სთავაზობს გაიმეორონ: „აქნიეთ, აქნიეთ, აქნიეთ“ და თან აქნევენ ქსოვილს. შემდეგ სესიის ხელმძღვანელი ყვირის: "შეჩერდით!" და იცდის სანამ ყველა გაჩერდება და დასხდებიან გაუნძრევლად. ეს შეგიძლიათ რამდენჯერმე გაიმეოროთ - ბავშვებსაც შეუძლიათ დაიყვირონ: "გაჩერდით!". შემდეგ ხელმძღვანელი შესთავაზებს სიმღერას, ხოლო ბავშვებს ისევ უკავიათ ქსოვილის კიდეები და წევნ მალლა და დაბლა ისე, თითქოს მოძრაობს, როგორც პეპლის ან ფრინველის ფრთები, ან მოძრაობს როგორც ქარი ან ზღვა. ბავშვებს შეგიძლიათ შესთავაზოთ აყვინენ სიმღერას და თან იმოძრაონ.

რჩევა: ეს აქტივობა განსაკუთრებით საინტერესო იქნება მორცხვი ბავშვებისთვის, რომლებსაც, როგორც ჩანს, უფრო უადვილდებათ მონაწილეობის მიღება, როცა რაიმეს აკავებენ ხელში მთელი აქტივობის განმავლობაში (მაგ. ქსოვილს), ვიდრე ის, რომ შეარჩიონ ინსტრუმენტი ან ნივთი.

იმპროვიზაცია

მუსიკალური აქტივობების ბუკლეტში მოცემული აქტივობების უმრავლესობა მოიცავს მუსიკალური იმპროვიზაციის ელემენტს. ეს ნაწილი ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულად იმპროვიზაციის, როგორც აქტივობის გამოყენებაზე ან იმაზე, თუ როგორ უნდა მიუდგეთ იმპროვიზირებული მუსიკის შექმნის შესაძლებლობებს სხვა აქტივობებთან ერთად.

1) ჯგუფის იმპროვიზაცია

მიზნები:

- თითოეულ წევრს მიეცეს მეტი თავისუფლება, აირჩიოს დაუკრას თუ არა და აირჩიოს ინსტრუმენტები უფრო დიდი არჩევანიდან
- თვითგამორკვევის პრაქტიკა

- მივცეთ თვითგამოხატვის საშუალება
- მივცეთ საშუალება თითოეულ წევრს თავი იგრძნონ ჯგუფის ნაწილად, (მაგალითად იმით,თუ როგორ უკრავენ ინსტრუმენტზე) დაინახონ, თუ როგორ შეიძლება მათმა ქცევამ გავლენა მოახდინოს სხვებზე.
- აძლევს ჯგუფის ხელმძღვანელს შესაძლებლობას დააკვირდეს, თუ როგორ ურთიერთობენ ჯგუფის წევრები ერთმანეთთან. ეს შეიძლება იყოს აშკარა მაჩვენებელი იმისა, თუ ზოგადად როგორ ურთიერთობენ ისინი სხვებთან.
- ჯგუფის ხელმძღვანელი აგრეთვე აკვირდება, თუ როგორ იქცევა ჯგუფი; არის თუ არა ერთობა წევრებს შორის. ასევე საინტერესოა, რჩებიან ჯგუფში თუ დახეტიალობენ.

შეიძლება საინტერესო და სახალისო იყოს ბავშვებისთვის მუსიკალურ ინსტრუმენტებზე თავისუფლად დაკვრის და აღმოჩენის შესაძლებლობის შეთავაზება „წესებზე“ ფიქრის გარეშე. ჯგუფური იმპროვიზაცია გვთავაზობს ამას და მოითხოვს ჯგუფის ყველა წევრის ჩართულობას, ხოლო ხელმძღვანელი ერთდროულად და სპონტანურად ქმნის მუსიკას.

მუსიკალური ინსტრუმენტების ფართო არჩევანი ხელმისაწვდომი იქნება, როცა ისინი განთავსებულია ცენტრში ან ოთახის გარშემო, რათა ჯგუფის წევრებს საშუალება ჰქონდეთ აირჩიონ ერთი ან მეტი ინსტრუმენტი. ხელმძღვანელმა უნდა მოიფიქროს მუსიკა და შეეცადოს ჯგუფის ყველა წევრის ყურადღება მოიპყროს. ეს შეიძლება რთული გასაკეთებელი იყოს, ამიტომ დაგჭირდებათ ჯგუფის წევრებს შორის სიარული და თითოეულ ბავშვთან რიგრიგობით მისვლა. ყურადღება გაამახვილეთ ყველაფერზე რასაც ახლებურად აკეთებენ, რეაგირება მოახდინეთ მთლიანად ჯგუფის მიერ შექმნილ მუსიკაზე.

რჩევები:

- თითოეული ადამიანი არის მნიშვნელოვანი, მას უნდა ჰქონდეს სივრცე, რომ შეისწავლოს მუსიკალური ბგერების სამყარო.
- მზად იყავით, რომ გარკვეული დონის ქაოსი იქნება თავისუფალი იმპროვიზაციის დროს!
- როგორ ურთიერთობს ჯგუფი ერთმანეთთან? უსმენენ ისინი ერთმანეთს? გაქვთ თუ არა რაიმე იმის დამადასტურებელი, რომ რეაგირებას ახდენენ ერთმანეთის მუსიკალურ იდეებზე, როგორიცაა ხმამაღლა დაკრულის განმეორება ან დაკვრის ინტენსივობა?
- მუსიკის ერთობლივად შექმნისას ვითარდება ჯგუფურობის გრძნობა, რაც გამოიწვევს ტოლერანტობის გაზრდას და სხვების მიმდებლობას - ეს უნარი მნიშვნელოვანია სხვა სოციალურ სიტუაციებში.
- თქვენც ხართ აქტიური მონაწილე. ნუ დაჯდებით უკან საყურებლად. მიიღეთ მონაწილეობა!
- თქვენ შეგიძლიათ დაკვრით დაეხმაროთ და არავერბალურად წახალისოთ გულჩათხრობილი ბავშვი.
- ბავშვის გვერდით დაკვრა, რომელიც სრულად გატაცებულია ძალიან ხმამაღალი დაკვით, - მისი ხალისის გაზიარება ან თამაშით თვალის კონტაქტის დამყარება - არის საშუალება კიდევ ერთხელ გააცნობიეროს გარშემომყოფები.

შენიშვნა: თუ ბავშვები გადატვირთულები არიან, ან თუ ხედავთ, რომ მათ ემოციებმა და ენერჯიამ, შესაძლოა დააზიანოს მუსიკალური ინსტრუმენტები, თქვენ უნდა მისცეთ გარკვეული სტრუქტურა სესიას. გადახედეთ რესურსების პაკეტს ისეთი აქტივობებისთვის, რომლებიც საშუალებას აძლევენ ბავშვებს თავისუფლად დაუკრან ზედმეტი ჩართულობის გარეშე.

2) ერთი ერთზე ყურადღება ჯგუფში მუშაობისას ან ინდივიდუალურ სესიაზე

მიზნები:

- თითოეულ წევრს ინდივიდუალურად და თანაბრად მიაქციეთ ყურადღება
- ხელი შეუწყეთ თითოეულ წევრს, რომ დაელოდონ თავიანთ რიგს
- იმპულსების კონტროლის პრაქტიკა
- ჯგუფში სხვების საჭიროებების გათვითცნობიერება
- ჯგუფის ხელმძღვანელს ეძლევა საშუალება, დააკვირდეს ჯგუფის წევრების რეაქციას, როდესაც მათ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

ეს აქტივობა ძირითადად თავისუფალი იმპროვიზაციაა, რომელშიც ჯგუფის თითოეული წევრი რიგრიგობით ერთვება. ჯგუფის თითოეულ წევრთან იმუშავეთ იმპროვიზირებულად. სანამ დაიწყებთ დაკვრას, ყურადღებით დააკვირდით ბავშვს და დაიცადეთ, რომ ნახოთ რას აკეთებს. მუსიკის შექმნის პროცესი უნდა იმეორებდეს ბავშვის ქცევას. იმეორებს ნიშნავს იმის აღიარებას, რასაც ბავშვი აკეთებს. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პატარა დარტყმა. სიფრთხილით ველოდებით და შესაბამისად რბილად ვრეაგირებთ, ბავშვის მუსიკის მეშვეობით ნათქვამს მნიშვნელობა ენიჭება და მას აქვს მეტი შანსი გააცნობიეროს ან იგრძნოს, რომ მას მოუსმინეს და მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება.

ბავშვს, რომელიც ჩუმად ზის, შეგიძლიათ დაბალი ხმით უმღეროთ, მიმართოთ სახელით ისე, რომ მიხვდეს, რომ უბრალოდ მასთან ერთად ხარ, და არა ისე, რომ ბავშვმა იფიქროს, რომ იმიტომ მიმართავთ მას, რომ მან რაიმე გააკეთოს.

მოუხმეთ ინტუიციას, რათა განსაზღვროთ რამდენი დრო უნდა გაატაროთ თითოეულ წევრთან. თუ პიროვნების მხრიდან მცირე ან საერთოდ არანაირი რეაგირება არ არის, არ შეეწინააღმდეგოთ, რადგან იფიქრებს, რომ ან არ გაინტერესებთ ან უკმაყოფილო ხართ მისი საქციელით.

ამ აქტივობის დროს ჯგუფის სხვა წევრები შეიძლება მოუსვენრად იყვნენ, გადაადგილდნენ, დაუკრან ინსტრუმენტებზე ან იმოძრაონ. მაქსიმალურად შეეცადეთ მითითებები არ მისცეთ; არსებობს დაბრკოლებების მინიმუმამდე დაყვანის გზები, მაგალითად, ჩაქუჩების გამორთმევა წევრებისგან, „მადლობის“ თქმით. ან, ისეთ სიტუაციებში, სადაც ერთზე მეტი ზრდასრული მუშაობს ჯგუფთან, დამხმარე ზრდასრულს შეუძლია შესთავაზოს ჯგუფის სხვა წევრებს „დაათვალიერონ“ ან „მოუსმინონ“.

რჩევა: იმის ნაცვლად, რომ მორჩილება ასწავლოთ ბავშვებს ინტერაქტიული მუსიკის სესიებზე, კარგი იქნება თუ წახალისებთ ბავშვებს იპოვონ თავისი თავი საკუთარი ინიციატივით დაკვრისას. გახსოვდეთ, რომ ამას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს.

თქვენ შეგიძლიათ წახალისოთ ჯგუფური იმპროვიზაცია, (თქვენი მელოდიის დაკვრისას) ჯგუფის რითმის აღმოჩენით და წახალისებით. ამით მათ ექნებათ მუსიკის შექმნის „კონტეინერი“, თუმცა მაინც უნდა მისცეთ საშუალება აკეთონ ის, რაც უნდათ.

რითმის შეთავაზებით შეგიძლიათ დაეხმაროთ ბავშვებს დარჩენენ ჯგუფის ინტერაქციის ნაწილი, შენიშვნების და მითითებების მიცემის და მუსიკალური განვითარების უფრო მეტი სტრუქტურის თავზე მოხვევის გარეშე.

3) ოკეანის დოლის გამოყენება

ჯგუფის ხელმძღვანელი გადადის ერთი ბავშვიდან მეორეზე და ნაზად უკრავს ოკეანის დოლს თითოეულ ჯგუფის წევრთან. დაკვრისას, უნდა დაიჭიროს ისე, რომ ბავშვს შეეძლოს გამორთმევა და სურვილის შემთხვევაში თავად დაუკრას. ბავშვს აქვს არჩევანი მოისმინოს ან დაუკრას.

ოკეანის დოლს აქვს განსაკუთრებული ხმა, რომელიც ხელს უწყობს მოსმენას და ყურადღების ფოკუსირებას. როდესაც დოლის ხმა ნაზად ქრება სიჩუმეში, სიჩუმესაც განსაკუთრებული ნიშან-თვისება აქვს. საინტერესო იქნება დაკვირვება, გააგრძელებენ თუ არა ჯგუფის წევრები სიჩუმის და ჟღერადობის მოსმენას.

ეს აქტივობა ასევე დაეხმარება ჯგუფის წევრებს ერთმანეთის უკეთ შეცნობაში, მოსმენისას, შეიძლება ბგერა დააკავშირონ მის შემსრულებელთან.

ოკეანის დოლი შეიძლება შეიცვალოს სხვა ინსტრუმენტით; მაგალითად, ახალი ინსტრუმენტით ან ისეთით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ გამოუყენებიათ, რომ ამ ინსტრუმენტის ჟღერადობას ჰქონდეს გავლენა ბავშვზე.

როდესაც ჯგუფი ვითარდება თავდაჯერებულად, ზემოთაღნიშნული აქტივობა შეიძლება განავრცოთ ინსტრუმენტის ჯგუფის ცენტრში მოთავსებით და შესთავაზოთ ჯგუფის წევრებს ჯგუფის ცენტრში დაუკრან. ეს ხელს შეუწყობს წევრებს დაელოდონ თავიანთ რიგს და კვლავ მოუსმინონ ინსტრუმენტს და ერთმანეთს.

ჯგუფის ერთმანეთთან ურთიერთქმედება

1) ინსტრუმენტების გადაცემა

მიზნები:

- სოციალური უნარები- რიგითობის განვითარება
- თვალის კონტაქტის დამყარება
- ჯგუფის ერთმანეთთან ურთიერთქმედების წახალისება

ყველა ირჩევს მუსიკალურ ინსტრუმენტს. იმდერეთ კარგად ნაცნობი მოკლე სიმღერა ან წაიმღერეთ რამე მელოდია და ყველამ ერთად დაუკარით ჯგუფურად. როდესაც სიმღერა / მელოდია გაჩერდება, გადაეცით ინსტრუმენტი მარჯვნივ მყოფ ადამიანს. დაიწყეთ სიმღერა და დაკვრა ახალი ინსტრუმენტით. ისევ, როცა სიმღერა/მელოდია ჩერდება, გადააწოდეთ ინსტრუმენტი მარჯვნივ. გაიმეორეთ სიმღერა/მელოდია პირველადი ინსტრუმენტის დაბრუნებამდე.

2) თემის დაკვრა

მიზნები:

- ჯგუფის გათვითცნობიერების წაქეზება

- კრეატიულობის გაუმჯობესება
- თვითგამოხატვის ხელშეწყობა
- იდეის გამოხატვის გაზიარება ჯგუფში
- მგრძობიარე დაკვრის წაქეზება

ან ჯგუფის ხელმძღვანელი ან ბავშვები მოიფიქრებენ თემას (მაგ. სეზონი, ჭექა-ქუხილი, კონკრეტული სცენა) და უკრავენ მას თავისუფალი იმპროვიზაციით. ეს შეიძლება გაკეთდეს წყვილებში, მცირე ჯგუფებში ან მთელ ჯგუფთან ერთად. აქტივობა შეიძლება შეიცავდეს რამე მოთხრობას (მაგ., კონკრეტულმა ინსტრუმენტმა შეიძლება წარმოადგინოს პერსონაჟი მოთხრობაში) ან ხასიათები (მაგ.: სევდიანი, ბედნიერი, აღელვებული, გაბრაზებული). ორ ჯგუფს შეუძლია კონტრასტული განწყობის დაკვრა. ერთ-ერთ ჯგუფს შეუძლია გამოიცნოს რა განწყობას უკრავს მეორე ჯგუფი.

3) რისი დაკვრა გსურთ?

მიზნები:

- ბგერის შესწავლა
- ინსტრუმენტების არჩევა
- ჯგუფის სხვა წევრების მიმართ ტოლერანტობა
- მოსმენის და დალოდების წაქეზება.

ყველა ზის წრეში, შუაში განთავსებული სამი ინსტრუმენტით (შეგიძლიათ აირჩიოთ სამი განსხვავებული ინსტრუმენტი და მოიფიქროთ ხმები, რომლებიც შეესაბამება ინსტრუმენტებს).

თანმიმდევრული რითმული მელოდია იქმნება ბავშვების მიერ მუხლებზე რბილი დარტყმებით. მიაქციეთ ყურადღება, რომ მუხლებს ერთდროულად დაარტყან ხელი.

მუხლზე ხელის დარტყმის პარალელურად, წაუძღვრეთ „რისი დაკვრა სურს [ბავშვის სახელი]?“ შემდეგ ჯგუფის წევრი ირჩევს ერთ-ერთ ინსტრუმენტს დასაკრავად. როდესაც ჯგუფის წევრი იწყებს დაკვრას, მუხლზე დარტყმა გრძელდება და ჯგუფი ეხმარება დაკვრაში.

მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრი დაასრულებს თავის ჯერს, ინსტრუმენტები ისევ იდება შუაში (საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელს შეუძლია ჯგუფის წევრს წაუძღვროს: „და ახლა ვემზადებით სიმღერის შესაწყვეტად“).

მუხლზე დარტყმა გრძელდება, შემდეგ კი ჯგუფის სხვა წევრს იწვევთ დასაკრავად.

4) ორი ჯგუფი

მიზნები:

- კონცენტრაციის და მოსმენის განვითარება
- ჯგუფური თანამშრომლობის წახალისება

- ჯგუფური ინტერაქციის წახალისება
- ხმის აღქმის განვითარება
- ენერჯის გამოშვება

მონაწილეები ირჩევენ მშვიდ ან ხმამაღალ ინსტრუმენტს. ჯგუფი ორად იყოფა. მშვიდი ჯგუფი და ხმამაღალი ჯგუფი. ორივე ჯგუფი თამაშობს თითქოს არიან ფართო მდინარის საპირისპირო ნაპირებზე და ერთმანეთთან ურთიერთობენ ინსტრუმენტზე რიგრიგობით დაკვრით. თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოუსმინოს მეორე ჯგუფის მიერ დაკრულს.

- მშვიდმა ჯგუფმა უნდა დაუკრას ძალიან ჩუმად, ან ყველამ ერთდროულად არ უნდა დაუკრას ან საერთოდ ჩუმად იყვნენ.

- ორივე ჯგუფს უნდა შესთავაზოთ მოუსმინონ ერთმანეთს, შესაძლოა მათ ერთმანეთი დაკვრაზე წააქეზონ.

ვარიანტი: თითოეულ ჯგუფს შეიძლება ჰყავდეს „ლიდერი“, რომელიც აძლევს წევრებს ინსტრუმენტებს და აჩვენებს ჯგუფს, თუ როგორ უნდა დაუკრან, როდის უნდა დაიწყოს, როდის შეჩერდეს. დაკვრას შეიძლება ახლდეს ნელი ან სწრაფი ცეკვა.

შენიშვნები და იდეები